“საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის “ აღმასრულებელი საბჭოს

2011 წლის ანგარიში

2011 წლის იანვრიდან ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- აღმასრულებელი საბჭოს 2011 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით, ასოციაციის წევრებოს დამადასტურებელი მოწმობები შეიცვალა ახალი პლასტიკური ბარათებით, რომელზეც დატანილია დამცავი შტრიხ-კოდი. დღეისათვის დაიბეჭდა 3524 პლასტიკური ბარათი.
- ადვოკატებისთვის შემუშავდა სპეციალური საინფორმაციო ფორმა, რომლის შევსების შედეგად განახლდა ინფორმაცია ადვოკატთა ერთიან რეესტრში კერძოდ, გადამოწმდა ადვოკატთა საკონტაქტო და დემოგრაფიული მონაცემები, დაემატა ინფორმაცია ადვოკატის ძირითადი საქმიანობის სფეროს შესახებ. აღნიშნული მონაცემები მნიშვნელოვანია ასოციაციის სასწავლო ცენტრისთვის, ვინაიდან, აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ის ძირითადი მიმართულებები, რომლითაც დაინტერესებულია ადვოკატთა კორპუსი, რაც საშუალებას იძლევა შემუშავდეს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები.
- ღია კენჭისყრის შედეგად, დაიდო ხელშეკრულება სადაზღვევო კომპანია “სტანდარტთან”. ადვოკატებმა მიიღეს ერთწლიანი სადაზღვეო პაკეტი. სულ დამზადდა 2552 სადაზღვევო პოლისი.
- 2011 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა 2010 წლის 28 სექტემბერს აღმასრულებლი საბჭოს გადაწყვეტილება საპენსიო ასაკის მქონე წევრებზე საწევრო შეღავათის გავრცელების შესახებ (მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა საპენსიო ასაკი განისაზღვრა 60 წლიდან, ხოლო მამრობითი – 65).

- ივნისის თვეში ქუთაისში შეძენილ იქნა რეგიონალური ოფისი, რომელიც გაიხსნა მიმდინარე წლის 12 ოქტომბერს. დღეის მდგომარეობით, აღნიშნული ოფისი სრულად რესტავრირებულია, აღჭურვილია ყველა სახის შესაბამისი ტექნიკით, ავეჯით, საოფისე ინვენტარით და ემსახურება დასავლეთ საქართველოში მოღვაწე ადვოკატებს.

- დაწესდა პროფესიული დღესასწაული "ადვოკატის დღე" - 8 ნოემბერი.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გაწევრიანდა ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციაში (IBA – International Bar Association), რომელიც დაარსებულა 1947 წელს და მსოფლიოს მასშტაბით აერთიანებს 40 000-ზე მეტ იურიდიული პროფესიის წარმომადგენელს, 197-ზე მეტ ადვოკატთა ასოციაციებს და იურიდიულ ორგანიზაციებს.
- ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ინიციატივით შეიქმნა განგრძობადი იურიდიული განათლების (გიგ) კომისია, რომლის თავმჯდომარედ დამტკიცდა ბ-ნი ზვიად კორძაძე. კომისია დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით: ცისმარ ონიანი, ზაზა ბიბილაშვილი, ქეთევან ბექაური, იმედა დვალიძე, ირაკლი კორძახია, ირაკლი ყანდაშვილი, ქეთევან ქვარცხავა. გ.ი.გ. კომისიამ მოწვეული საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით შეიმუშავა განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემის კონცეფცია და კომისიის დებულება, რომელიც დამტკიცდა 2011 წლის 21 ოქტომბრის აღმასრულებელი საბჭოს სხდომაზე. 2012 წელს ამ პროგრამის ფარგლებში USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის და East-West Management Institute (EWMI) თანადაფინანსებით, ადვოკატებს პროფესიული ეთიკის საგანში ჩაუტარდებათ 3 საათიანი ტრენინგები.

სასწავლო ცენტრის 2011 წლის გაწეული საქმიანობის სტატისტიკა

ტრენინგები	1. ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები – 72 მონაწილე.

	2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხები (TOT) – 50 მონაწილე. 3. ფინანსური (საგადასახადო) სამართალი – 152 მონაწილე. 4. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 10-ე მუხლი – 35 მონაწილე. 5. წინასასამართლო დაცვა - კანონმდებლობა აღკვეთის ღონისძიების შესახებ - 278 მონაწილე.
კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები	1. სამოქალაქო სამართალი – 102 მონაწილე 2. სისხლის სამართალი – 98 მონაწილე 3. ადმინისტრაციული სამართალი – 47 მონაწილე
გამოცდები (გაზაფხული)	1. სამოქალაქო სამართალი – 343 მონაწილე 2. სისხლის სამართალი – 203 მონაწილე 3. საერთო სპეციალიზაცია – 261 მონაწილე
გამოცდები (შემოდგომა)	1. სამოქალაქო სამართალი – 366 მონაწილე 2. სისხლის სამართალი – 225 მონაწილე 3. საერთო სპეციალიზაცია – 301 მონაწილე

- შეიქმნა სამოქალაქო, ადმინისტრაციული და კომერციული სამართლის კომიტეტები. სამოქალაქო სამართლის კომიტეტის ხელმძღვანელად დამტკიცდა აღმასრულებელი საბჭოს წევრი ბ-ნი გოჩა სვანიძე, ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის ხელმძღვანელად – ქ-ნი ქეთევან ქვარცხავა და კომერციული სამართლის კომიტეტის ხელმძღვანელად - აღმასრულებელი საბჭოს წევრი – ბ-ნი ზაზა ბიბილაშვილი.
- ქ. თბილისში ძმები ზუბალაშვილების ქუჩა 36–ში შეძენილ იქნა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციისთვის ახალი ოფისი. (სრული ფართი 409.50 კვ.მ). აღნიშნულ ოფისს ჩაუტარდა რემონტი და ოქტომბრიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაცია განთავსდა აღნიშნულ მისამართზე. ამ ეტაპზე, შენობის პირველ სართულზე მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგ, გარემონტებული ფართი დაეთმობა ადვოკატთა სასწავლო ცენტრს, სადაც განგრძობადი იურიდიული განათლების პროექტის ფარგლებში ჩატარდება ტრენინგები და სემინარები. ამ ფართზე განლაგდება ადვოკატთა კლუბი და სამკითხველო დარბაზი. აღნიშნული ფართი აღიჭურვება შესაბამისი საოფისე ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკით, რომლის მოხმარება შეეძლება ნებისმიერ ადვოკატს.

- მიმდინარეობს მუშაობა ასოციაციის ბიბლიოთეკის ჩამოყალიბებაზე.
- ევროსაბჭოს დაფინანსებით დაიდო ხელშეკრულება კომპანია ONE-IT-თან, რომელმაც შექმნა ადვოკატთა რეესტრის და კეის მენეჯმენტის სისტემის სპეციალური პროგრამა. აღნიშნული პროგრამა ადვოკატთა ასოციაციის ადმინისტრაციას გაუმარტივებს ადვოკატთა პირადი საქმის წარმოებას ასევე, ადვოკატებს ექნებათ შესაძლებლობა პროგრამის საძიებო სისტემის მეშვეობით მოიძიონ ადვოკატების შესახებ ყველა სახის საჯარო ინფორმაცია.
- 29 სექტებერიდან 1 ოქტომბრამდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას ოფიციალური ვიზიტით ესტუმრა ევროპის ადვოკატთა და იურისტთა ასოციაციების საბჭო (CCBE) PECO კომიტეტის თავმჯდომარის და მასთან თანმხლებ დელეგაციასთან (12 წარმომადგენელი) ერთად. ვიზიტი იყო სამდღიანი და მოიცავდა შემდეგ ღონისძიებებს: დელეგაცია შეხვდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს, აღმასრულებელი საბჭოს წევრებს, დაზარალებულ ადვოკატებს.

  30 სექტემბერს ასოციაციის ახალი ოფისი საზეიმო ვითარებაში გახსნა PECO-ს კომიტეტის თავმჯდომარემ, ხოლო შემდეგ ჩატარდა PECO კომიტეტის სხდომა.

  CCBE –მ ქართველი ადვოკატებისთვის ჩაატარა სემინარი.
- ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე აქტიურად იყო ჩართული სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებში, კერძოდ, 2011 წლის 25-26 მაისს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ვარშავაში "ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის" (International Bar Association) სხვადასხვა ქვეყნების ასოციაციების ხელმძღვანელების რიგით მეექვსე ყოველწლიურ კონფერენციაზე, სადაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის IBA –ში გაწევრიანების შესახებ. შედეგად, ადვოკატთა ასოციაცია, როგორც ასოცირებული წევრი, აქტიურად ჩაერთვება ევროპის ადვოკატთა ასოციაციებთან ერთად და მონაწილეობას მიიღებს იურიდიული პროფესიის სამომავლო განვითარებისთვის დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.
- 20-21 მაისს და 2011 წლის 25-26 ნოემბერს ასოციაციის თავმჯდომარე მიწვეული იყო ევროპის ადვოკატთა და იურისტთა ასოციაციების საბჭოს (CCBE) რიგით 114-ე და 115-ე პლენარულ სესიებზე ლუქსემბურგსა და ანტვერპენში. აღნიშნულ შეხვედრებზე ასოციაციის თავმჯდომარემ სესიის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია იმ

პრობლემების შესახებ, რომელთა წინაშეც დგანან ქართველი ადვოკატები. მან ასევე ისაუბრა არსებული პრობლემების გადაწყვეტის გზებზე.

- 2011 წლის 19-24 ივნისს, ადვოკატთა ასოციაციის მოწვევით საქართველოში მეორე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორია. მისიის წევრები შეხვდნენ ადვოკატებს თბილისსა და ბათუმში. პრობლემების ადგილზე გაცნობისა და შექმნილი სიტუაციის ანალიზის შემდეგ, მომზადდა შესაბამისი დასკვნა და რეკომენდაციები.
- 2011 წელს ადვოკატთა ასოციაციის პრესსამსახურმა მაქსიმალური ყურადღება დაუთმო და გააშუქა წლის მნიშვნელოვანი მოვლენები, კერძოდ:

- ✓ მომზადდა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გაშუქდა 19 პრესკონფერენცია, რომელთა ძირითადი თემები იყო ადვოკატთა ინსტიტუციონალური დაცვა.
- ✓ გაშუქდა საფრანგეთის ადვოკატთა ობსერვატორიის ორი ვიზიტი საქართველოში.
- ✓ მთლიანად განახლდა ვებ-გვერდი, დაიხვეწა და შეიცვალა შინაარსობრივად.
- ✓ მომზადდა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის 17 მიმართვა ადვოკატებისა და საზოდაგოებისადმი.
- ✓ გამოვიდა ადვოკატთა ასოციაციის ელექტრონული ჟურნალი „ადვოკატი"-ს სამი ნომერი. რომელშიც თავმოყრილია ადვოკატის პრაქტიკიდან და თეორიიდან გამომდინარე სამეცნიერო მასალები, აქტუალური ინტერვიუები, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ადვოკატთა ინსტიტუციონალური დევნის შესახებ.
- ✓ წლის განმავლობაში ქართულ და უცხოურ პრესაში გამოქვეყნდა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის 60-ზე მეტი ინტერვიუ.

ასოციაციაში გაწევრიანებულ პირთა სტატისტიკა

- აღნიშნულ პერიოდში ასოციაციაში გაწევრიანდა 401 პირი, რომელთა რაოდენობა შემდეგნაირად გადანაწილდა სხვადასხვა სპეციალიზაციის მიხედვით: 112 პირი გაწევრიანდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით, 122 – სამოქალაქო სამართლით, 162–საერთო სპეციალიზაციით.
- დღეისათვის ასოციაციაში ირიცხება 3539 მოქმედი ადვოკატი;
- **აღნიშნულ პერიოდში პირადი განცხადებით ასოციაციის წევრობა შეიჩერა 58 ადვოკატმა, ხოლო წევრობა აღუდგა 30 ადვოკატს.**

ანგარიში წარმოდგენილია 2011 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით